მარიანა ქევხიშვილი •

უკრაინული ლობი აშშ-ში რუსეთ-უკრაინის ომის პერიოდში••

აბსტრაქტი

უკრაინისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა რუსეთის მიერ ომის დაწყებისთანავე. უკრაინა ამერიკელი ლობისტების დახმარებით ცდილოს შეამციროს რუსული პროპაგანდა და სამხედრო დახმარება მიიღოს დასავლეთისგან.

ჩემი საკვლევი კითხვაა რა სახის ლობისტურ კამპანიას აწარმოებს უკრაინა აშშ-ში, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთს. ჩვენი ვარაუდით, რუსეთის უკრაინაში შეჭრის პარალელურად, უკრაინამ მნიშვნელოვნად გაზარდა ლობისტური საქმიანობის მასშტაბი აშშ-ში. უკრაინა ლობისტური კომპანიების მომსახურებით 1992 წლიდან სარგებლობს აშშ-ში. Fara-ს მონაცემებით, ამ პერიოდიდან დღემდე 68 კონტრაქტია გაფორმებული სხვადასხვა ლობისტურ კომპანიასა და უკრაინას შორის. თუ 2021 წელს უკრაინას დაქირავებული ჰყავდა 4 ლობისტური კომპანია, რომელიც მის ინტერესებს იცავდა აშშ-ში, 2022 წელს კი ასეთი 15 კომპანიაა დაქირავებული.

2022 წლამდე თუ უკრაინა თავის ლობისტურ საქმიანობას მიმართავდა ქვეყნის ეკონომიკური და ენერგეტიკული პოტენციალის გასაზრდელად და აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მისდამი პოზიტიურად განსაწყობად, 2022 წლიდან უკვე ლობისტებისთვის მიცემული დავალებებია: ჩრდილოეთ ნაკადი 2-ის დაბლოკვა, სამხედრო

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

•• მოხსენება 2022 წლის 24 ნოემბერს ჩატარებულ მე-2 სამეცნიერო კონფერენციაზე „პოლიტიკური მეცნიერება საქართველოში: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები“.

დახმარების მიღება, რუსული პროპაგანდის შემცირება და ნატოში გაწევრიანება.

უკრაინისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა დღეს იმაზე მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა (Freeman, 2022). ქვეყანა 9 თვეზე მეტია ებრძვის მის ტერიტორიაზე შემოჭრილ რუსულ ჯარს. უკრაინა ამერიკელი ლობისტების დახმარებით ცდილობს აშშ-ის განწყობები მის მიმართ გააძლიეროს, შეამციროს რუსული პროპაგანდა და დახმარება მიიღოს დასავლეთისგან როგორც ეკონომიკის, ისე სამხედრო და თავდაცვის სფეროებში.

საპასუხოდ შეერთებულმა შტატებმა დააწესა საკმაოდ მკაცრი სანქციები რუსეთის ენერგეტიკისა და ფინანსური სექტორებისთვის, ხოლო უკრაინას ათობით მილიარდი დოლარის სამხედრო დახმარებას უწევს.

უკრაინა ლობისტური კომპანიების მომსახურებით 1992 წლიდან სარგებლობს აშშ-ში. Fara-ს მონაცემებით, ამ პერიოდიდან დღემდე 68 კონტრაქტია გაფორმებული სხვადასხვა ლობისტურ კომპანიასა და უკრაინას შორის. თუ 2021 წელს უკრაინას დაქირავებული ჰყავდა 4 ამერიკული ლობისტური კომპანია, რომელიც მის ინტერესებს იცავდა აშშ-ში, 2022 წელს უკვე ასეთი 15 კომპანიაა დაქირავებული.

ამავე მონაცემებით, ლობისტები უკრაინისთვის აკეთებენ ბევრად მეტ სამუშაოს ვაშინგტონში, ვიდრე საუდის არაბეთისთვის, რომელიც ყველაზე მასშტაბურ ლობისტურ საქმიანობას ეწევა აშშ-ში (Freeman, 2022).

2022 წლამდე უკრაინა თავის ლობისტურ საქმიანობას მიმართავდა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გასაზრდელად, აშშ-ის მაღალჩინოსნებთან ურთიერთობების დასამყარებლად და ზოგადად აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მათდამი დადებითად განსაწყო-

ბად. ამასთანავე ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რასაც უკრაინა წლეზის განმავლობაში უშედეგოდ ლობირებდა იყო ჩრდილოეთ ნაკადი 2-ის დაბლოკვა, რომლის საშუალებითაც რუსული გაზი გერმანიას და დანარჩენ ევროპას მიეწოდება დასრულების შემდეგ (LIPPMAN, 2022).

უკრაინელი ოფიციალური პირების მტკიცებით, ეს მილსადენი ისეთივე საფრთხეა მათი უსაფრთხოებისთვის, როგორც რუსული ჯარი. დასრულების შემთხვევაში, მილსადენი რუსეთს საშუალებას მისცემს ბუნებრივი აირის ექსპორტი უშუალოდ გერმანიასა და დანარჩენ ევროპაში განახორციელოს, რაც საფრთხეს უქმნის იმ მილიარდებს, რომლებსაც უკრაინა იღებდა რუსული გაზის ევროპაში ტრანზიტით (Freeman, 2022).

კონგრესი იყო უკრაინის აგენტების მთავარი სამიზნე, სადაც 300-ზე მეტი პალატისა და სენატის თანამშრომელმა და კონგრესის წევრებმა მიიღეს 8000-ზე მეტი ელექტრონული წერილი, სატელეფონო ზარები და გამართეს შეხვედრები უკრაინის ლობისტებთან. უკრაინელები მოუწოდებდნენ აშშ-ს სენატს სანქცირება მოახდინონ პუტინის მილსადენის "იარაღზე", ლობისტები ცდილობდნენ გავლენა მოეხდინათ პრეზიდენტ ჯო ბაიდენის გადაწყვეტილებაზე, რომელმაც არ გადაკეტა რუსეთის მილსადენი გერმანიაში, ივლისში იუსტიციის დეპარტამენტში შეტანილი საჩივრების მიმოხილვის შედეგად (Freeman, 2022).

უკვე 2022 წლის თებერვლის დასაწყისში, როგორც კი უკრაინის საზღვარზე რუსული ჯარების რიცხვი გაიზარდა, ასევე გაიზარდა აშშ-ში უკრაინის აგენტების ძალისხმევა აშშ-სა და ნატოს სამხედრო მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ისინი ამასთანავე ცდილობდნენ აშშ-ს ჰქონოდა მკვეთრი რეაგირება ამ კრიზისზე.

რუსეთის შემოჭრის შემდეგ, პროუკრაინულმა ლობიმ მიიღო თითქმის ყველაფერი, რასაც ისინი ცდილობდნენ კონგრესისგან და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან მიეღოთ. თითქმის ყველა

ლობისტურმა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ფირმამ სწრაფად გაწყვიტა კავშირი თავის რუს კლიენტებთან ომისა და აშშ-ს სანქციების შემდეგ. პროუკრაინულმა ლობიმ დიდი გამარჯვება მოიპოვა, როდესაც ბაიდენის ადმინისტრაციამ დააწესა სანქციები Nord Stream 2-ის მილსადენზე.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის სამხედრო შეჭრა უკრაინაში იყო Nord Stream 2-ის სასიკვდილო ზარი. გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა განაცხადა, რომ გერმანია არ დაუშვებს მილსადენის ფუნქციონირებას და აღნიშნა, რომ „სიტუაცია ძირეულად შეიცვალა“ (Freeman, 2022).

ამ გამარჯვებით და ბაიდენის მიერ რუსეთიდან ნავთობისა და გაზის იმპორტის აკრძალვით, პროუკრაინული ლობი „ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე“ ფოკუსირებიდან გადავიდა აშშ-ის სამხედრო მხარდაჭერის მოპოვებაზე.

2014-დან 2021 წლამდე შეერთებულმა შტატებმა ისედაც გამოყო 2,7 მილიარდი დოლარი უკრაინის არმიის მხარდასაჭერად, მათ შორის 721 მილიონი აშშ დოლარი სახელმწიფო დეპარტამენტის საგარეო სამხედრო დაფინანსებისთვის (FMF) და 1,35 მილიარდი დოლარი თავდაცვის დეპარტამენტის უკრაინის უსაფრთხოების დახმარების ინიციატივისთვის (Freeman, 2022).

პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის ენერგიული ძალისხმევით, აშშ-ს კონგრესმა და პრეზიდენტმა ბაიდენმა დაამტკიცა ათობით მილიარდი დოლარის სამხედრო დახმარება უკრაინისთვის. უკრაინის სამხედრო მხარდაჭერის გაზრდის ლობირება განხორციელდა აგვისტოს ბოლოს პრეზიდენტი ზელენსკის თეთრ სახლში ვიზიტამდე. Wall Street Journal-ის ერთ-ერთი სტატია, რომელიც დაწერა რუსეთში ყოფილმა ელჩმა მაიკლ მაკფოლმა და გაავრცელა Yorktown-მა, ამტკიცებს, რომ ბაიდენმა უნდა „გამოაცხადოს ახალი ძირითადი სამხედრო დახმარება“, მათ შორის ტანკსაწინააღმდეგო ჯაველინები და ასევე განახლებული რადარები უკრაინისთის.

ანალიტიკური ცენტრებმა ასევე ითამაშეს ცენტრალური როლი პროუკრაინული ლობის სწრაფვაში აშშ-ის სამხედრო მხარდაჭერისთვის, ატლანტიკურ საბჭოსთან დაახლოებით 600-მდე კონტაქტი იყო, რომელიც ხშირად ითხოვდა აშშ-ს უფრო დიდ სამხედრო მხარდაჭერას უკრაინისთვის. ატლანტიკურ საბჭოსთან პროუკრაინული ლობის ჩართულობა მოიცავდა მრავალჯერად შეხვედრებს ჯონ ჰერბსტთან, აშშ-ის ყოფილ ელჩთან უკრაინაში, რომელმაც რუსეთის შეჭრამდე განუცხადა NPR-ს, რომ პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა „ახლავე მეტი იარაღი უნდა გაუგზავნოს უკრაინას (Freeman, 2022).

მიუხედავად იმისა, რომ Nord Stream 2 ენერგეტიკული საზრუნავი და აშშ-ს სამხედრო მხარდაჭერის მოპოვება მთავარი საკითხებია, ყოველთვის აქტუალურია უკრაინის ნატოში გაწევრიანების პერსპექტივის წინ წამოწევაც. როგორც პრესა წერდა, პრეზიდენტ ბაიდენისთვის ამერიკის მუდმივი მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის მადლობის გადახდის შემდეგ, უკრაინის ლიდერმა შეიძლება რბილად იკითხოს ნატოში გაწევრიანების შესახებ.

Faral დოკუმენტებში ნატო ხშირად არის ნახსენები. უკრაინის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ დაწერილი ერთი ღია წერილი, რომელიც „იორკთაუნმა“ გაავრცელა, წერს, რომ „ერთად მუშაობით ჩვენ ვუახლოვდებით უკრაინის ნატოში სრულ წევრობას“. გავრცელდა სტატია, სადაც ნათქვამია, რომ პოლონეთი რჩება უკრაინის წევრობის ურყევ დამცველად, ასევე „იორკთაუნმა“ გაავრცელა ევროპელი ოფიციალური პირების მიერ გამოქვეყნებული ერთობლივი განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „ჩვენ გვაქვს ვალდებულება, მივაწოდოთ საგზაო რუკა უკრაინის ნატოში გაწევრიანებისკენ ალიანსს, თუ უკრაინა განახორციელებს აუცილებელ რეფორმებს და დააკმაყოფილებს ნატოს წევრობის სტანდარტებს. (Freeman. 2022).

fara-ზე განთავსებული კონტრაქტების მიხედვით, უკრაინას ამჟამად 18 აქტიური ლობისტური ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, აქედან 5 უკრაინის მთავრობის სახელით, 2 ციფრული ტრანსფორმაციის სამინისტროს, 3 უშიშროების საბჭოს, 2 პრეზიდენტის ოფისის, 3 ფინანსთა სამინისტროს, 1 სამოქალაქო მოძრაობა უკრაინისთვის, 1 უკრაინის თავდაცვის საერთაშორისო ლეგიონის სახელით. 13 კონტრაქტი გაფორმებულია 2022 წელს, ხოლო 5 აქტიურია 2021 წლიდან. უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს მიერ გაფორმებულ კონტრაქტში ნათქვამია, რომ უკრაინის მთავრობამ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს სთხოვა დახმარება გაუწიოს დაშიფრული შეტყობინებების პროგრამული უზრუნველყოფისა და თანამგზავრული გადაცემის სერვისების შეძენაში. რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის გამო, უკრაინას აღარ აქვს სამთავრობო ინფრასტრუქტურა შესყიდვების საქმიანობებში ჩასართავად და არც სახსრები მთავრობისა და სამხედროებისთვის საჭირო საკომუნიკაციო სერვისების შესაძენად.

ლობისტებმა უკრაინის ხელისუფლების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს მოუწყვეს ინტერვიუები. უკრაინის თავდაცვის მინისტრის ინტერვიუ გამოქვეყნდა ვოლ სტრიტ ჟურნალში, მოაწყვეს უკრაინის საჰაერო ძალების პილოტების დელეგაციის ჩასვლა აშშ-ში, რათა მხარი დაეჭირათ მათთვის მედიაში და ადვოკატირება გაეწიათ სატრენინგო პროგრამის პილოტებისთვის მომზადებაში.

ლობისტები დაუკავშირდნენ „მეტას“ წარმომადგენლებს, რათა მოეხსნათ რუსული პროპაგანდა სოციალური მედიის პლატფორმებზე უკრაინაში რუსეთის შეჭრასთან დაკავშირებით. ასევე დაუკავშირდნენ რესპუბლიკური ეროვნული კომიტეტის ("RNC") ყოფილ წარმომადგენელს, რათა წაახალისოს RNC-ის ყოფილი წარმომადგენელი, დაუკავშირდეს Google-ს, რათა ამოეღო რუსული პროპაგანდა სოციალური მედიის პლატფორმებზე, რომელიც და-

კავშირებულია უკრაინაში რუსეთის შეჭრასთან. მსგავსი ტიპის კომუნიკაცია განახორციელეს ასევე TikTok-ის წარმომადგენლებთან, Washington Post-თან, Politico-სთან და აშშ-ის მთავრობის წარმომადგენლებთან.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ უკრაინამ მნიშვნელოვნად გაზარდა ლობისტური საქმიანობის მასშტაბები მის ქვეყანაში ომის დაწყებისთანავე, რათა მეტი დახმარება მიეღო და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მართლაც მოახერხა მთელი რიგი ისეთი საკითხის გატანა, რასაც მანამდე უშედეგოდ ლობირებდა. დაიბლოკა ჩრდილოეთ ნაკადი 2-ის მშენებლობა, მიიღო უპრეცედენტო სამხედრო დახმარება აშშ-სგან და აგრძელებს ლობირებას ნატოში გაწევრიანების მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

Freemen, B. (2022). The Lobbying Battle Before the War: Russian and Ukrainian Influence in the U.S. QUINCY INSTITUTE FOR RESPONSIBLE STATECRAFT.

https://quincyinst.org/report/the-lobbying-battle-before-the-war-russian-and-ukrainian-influence-in-the-u-s/?fbclid=IwAR3eWe4qS-EpZ3RB7FrG-YLTKjtbUbLSm1AAvGtq0gb0poYADoEzHxTt5F8

Freemen, B. (2022). UKRAINIAN LOBBYISTS MOUNTED UNPRECEDENTED CAMPAIGN ON U.S. LAWMAKERS IN 2021. The Intercept.

https://theintercept.com/2022/02/11/ukraine-lobby-congress-russia/?fbclid=IwAR1VwkzeViyt6BCgCH75Gbur5U8-3dCPrTmrW8oQn-n06boa5bCAQYCCAzc

Carpenter, T. (2022). Why Are Critics Afraid To Confront the Ukraine Lobby? Cato Institute

https://www.cato.org/commentary/why-are-critics-afraid-confront-ukraine-lobby?fbclid=IwAR2LitzR2YKSp-KpJIsnuytnK293Az5I-okwwzGSrEJECdv0SocJpyqQNxU

Lippman, D. (2022). What Ukraine's lobbyists have been up to. POLITICO-https://www.politico.com/newsletters/politico-influence/2022/02/28/what-ukraines-lobbyists-have-been-up-to-00012522?fbclid=IwAR3eWe4qS-EpZ3RB7FrG-YLTKjtbUbLSm1AAvGtq0gb0poYADoEzHxTt5F8

Mariana Kevkhishvili

Ukrainian Lobby in the US during the Russian-Ukrainian War

Abstract

After the outbreak of the war with Russia, Ukraine's relations with the United States of America have become especially important. Ukraine tries, with the help of American lobbyists, to reduce Russian propaganda and receive Western military aid.

My research question is about the type of lobbying campaign Ukraine is running in the United States to resist Russia. Parallel to Russia's invasion of Ukraine, Ukraine, in our opinion, has significantly increased the scope of its lobbying activities in the United States.

Since 1992, Ukraine has used the services of American lobbying firms. Since then, 68 contracts have been signed between various lobbying firms and Ukraine, according to Fara data. If Ukraine hired four lobbying firms to protect its interests in the United States in 2021, there are fifteen such firms in 2022.

If Ukraine used its lobbying activities to increase the state's economic and energy potential and to positively direct US foreign policy until 2022, the tasks assigned to lobbyists from 2022 onward are: blocking Nord Stream 2, receiving military aid, reducing Russian propaganda, and joining NATO.